

ანგარიში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის
შესახებ წინასაარჩევნო პერიოდში
REPORT ON PHYSICAL AND PSYCHOLOGICAL VIOLENCE DURING
THE PRE-ELECTION PERIOD



RCT/Empathy

წინამდებარე ანგარიში მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდში არსებული ძალადობრივი ფაქტების აღწერასა და შეფასებას. ანგარიშში განხილული ფაქტები ასახავს პოლიტიკური ოპოზიციის, აქტივისტების, მედიისა და დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა წინააღმდეგ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას და მოიცავს სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდს.

This Report comprises description and assessment of the violent acts during the pre-election period in Georgia. The facts reflected in the report refer to the physical and psychological pressure on the political opposition, political activists, media and independent election observation mission representatives occurred during the period from September to October in Georgia

სარჩევი

Table of Contents

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა წინასაარჩევნო პერიოდში-----	4
ფაქტების აღწერა-----	5
თავდასხმა ნიკა მელიაზე-----	5
თავდასხმა გიორგი გლუნჩაძეზე-----	5
თავდასხმა მპგ „ლელო საქართველოსთვის“ წევრზე-----	5
თავდასხმა ლევან ხაბეიშვილის საარჩევნო შტაბზე-----	6
თავდასხმა ლევან ქართველიშვილზე-----	6
თავდასხმა ნინია ცისკარიშვილზე-----	6
თავდასხმა ლაშა ცუცქერიძეზე-----	7
მუქარა გიორგი გოგავას მიმართ-----	7
მაია გრიგოლიას პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება-----	8
რამინ ჩიტიშვილის პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება-----	8
დოდო ჭოტორლიშვილის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება-----	9
თავდასხმა „ვეროპული საქართველოს“ ქუთაისის ოფისზე-----	9
თავდასხმა ლევან თარხნიშვილსა და მისი შტაბის წევრებზე-----	9
თავდასხმა არიფ იუსუპოვზე-----	10
თავდასხმა კახაბერ ოქრიაშვილზე-----	11
თავდასხმა ოპოზიციის საარჩევნო შტაბებზე-----	11
საპროტესტო აქცია ნიკა მელიას ოფისთან-----	11
თავდასხმა მარნეულში-----	12
უკანონი შეჭრის ფაქტი ხატია დეკანოიძის საარჩევნო შტაბში-----	13

„გირჩის“ საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლის ფაქტი-----	14
დაკავებები თბილისის მერიასთან გამართული აქციის დროს-----	14
„კარტოგრაფების საქმე“-----	15
თავდასხმა რამაზ ნურმამედოვზე-----	15
თავდასხმა ბიზნესმენ ავთანდილ წერეთელზე-----	16
დაპირისპირება „ქართული ოცნების“ ოფისში-----	16
თავდასხმა „საქართველოს ბანკზე“ ზუგდიდში-----	16
ზეწოლა ამომრჩევლებზე-----	17
დასკვნითი დებულებები-----	18

Special Report on Physical and Psychological Violence for Pre-Election Period in Georgia--	20
Statement of Facts-----	21
<i>Violence against Nika Melia</i> -----	21
<i>Violence against the “LELO” activist</i> -----	21
<i>Violence against Levan Khabeishvili</i> -----	21
<i>Violence against Levan Kartvelishvili</i> -----	21
<i>Violence against Ninia Tsiskarishvili</i> -----	22
<i>Violence against Lasha Tsutskiridze</i> -----	22
<i>Violence against Giorgi Gogava</i> -----	22
<i>Alleged discrimination against Maia Grigolia</i> -----	23
<i>Alleged discrimination against Ramin Chitishvili</i> -----	23
<i>Alleged discrimination against Dodo Chotorlishvili</i> -----	23
<i>Attack on the office of the “European Georgia” in Kutaisi</i> -----	24
<i>Violence against Levan Tarkhnishvili</i> -----	24
<i>Violence in Bolnisi</i> -----	24

<i>Armed attack on Levan Mikeladze</i> -----	24
<i>Attack on the office of the “United National Movement”</i> -----	25
<i>Demonstration against ‘United Opposition’</i> -----	25
<i>Violence in Marneuli Municipality</i> -----	25
<i>Illegal Intrusion in Khatia Dekanoidze’s office</i> -----	26
<i>Alegedly illegal interference in election campaign of „Girchi“</i> -----	27
<i>Detention of “Giorgi Vashadze - Strategy Agmashenebeli” members</i> -----	27
<i>Detention of Iveri Melashvili and Natalia Ilichova</i> -----	27
<i>Violence against Kakhaber Okriashvili</i> -----	28
<i>Violence against Avtandil Tsereteli</i> -----	28
<i>Violence in Dmanisi</i> -----	29
<i>Hostages in the Bank of Georgia, Zugdidi</i> -----	29
<i>Political Pressure on Voters</i> -----	29
<i>Final Remarks</i> -----	31

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა წინასაარჩევნო პერიოდში

(4 სექტემბერი - 27 ოქტომბერი)

სპეციალური ანგარიში

არასამთავრობო ორგანიზაცია - ცენტრი „ემპათია“

თბილისი 0160, ს. კანდელაკის ქ. N23, ტელ: +995 32 2381015; E – mail: centre@empathy.ge , URL www.empathy.ge , Social Media: Rct.Empathy

აღნიშნული ანგარიში მომზადებულია ცენტრი „ემპათია“ -ს მკვლევართა ჯგუფის მიერ

მარიამ ჯიშკარიანი, გიგა ლემონჯავა, ლელი ჯანხოთელი, ია ლლონტი

აღნიშნული ანგარიში მოიცავს, საქართველოში, 2020 წლის 31 ოქტომბერს გასამართი საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ძალადობრივი ფაქტების აღწერასა და შეფასებას. ანგარიშში ასახული ფაქტები ეხება 2020 წლის სექტემბერ - ოქტომბერში პოლიტიკურ ოპოზიციასა და მის მხარდამჭერებზე, ასევე მედიისა და სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებს. ანგარიშში ასახულია ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო შექმნილი განსაკუთრებული ვითარებით ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე ზეგავლენის უკანონო პრაქტიკა და ძალადობრივი სტრუქტურების წარმომადგენელთა მეშვეობით ამომრჩევლებზე ზეწოლის მცდელობები.

ცენტრი „ემპათია“ განსაკუთრებულ მადლობას უხდის კრიტიკულ მედია საშუალებებს ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და გაშუქებისათვის. აგრეთვე, პარტნიორ ორგანიზაციებსა და ცენტრი „ემპათია“-ს პირდაპირ ბენეფიციარებს.

ფაქტების აღწერა

1. ¹ 2020 წლის 27 სექტემბერს, გლდანულას დასახლებაში, მე-8 კორპუსის მიმდებარედ, წინასაარჩევნო შეხვედრის მიმდინარეობისას, მაღალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან, ან მაღალი სართულიდან ქვეები და სხვა მყარი საგნები დაუშინეს ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშია“-ს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ნიკა მელიასა და მის მხარდამჭერებს.
კანონდამრღვევთა იდენტიფიცირება არ მომხდარა.

2. ² 2020 წლის 4 სექტემბერს განხორციელდა თავდასხმა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ რაიონული ორგანიზაციის წევრ, გიორგი გლუნჩაძეზე. მას თავს დაესხა 3 პიროვნება. გლუნჩაძის განმარტებით, მასზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობა განპირობებულია მისი პოლიტიკური საქმიანობით და მიზნად ისახავს მის დაშინებას.
გამოძიება დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 - ე მუხლით, დაკავებულია მხოლოდ ერთი პირი.

3. ³ 2020 წლის 13 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში, რუსთაველის გამზირზე განხორციელდა თავდასხმა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ ადგილობრივი ორგანიზაციის წევრზე. დაზარალებულს, პოლიტიკური ნიშნით, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. „ლელო

¹ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. „ქვეების სროლა ნიშნა იმისა, რომ ეს ხელისუფლება დამარცხდა-ნიკა მელია“, 2020 წლის 30 სექტემბერი, 15:03 [https://youtu.be/51YpF3TJCeA] ხელმისაწვდომია 10.27.20.

² მთავარი არხი, „თავდასხმა ‘ლელოს’ წევრზე“, 2020 წლის 4 სექტემბერი, 6:03, [https://www.facebook.com/TvMtavari/videos/1340347263017657], ხელმისაწვდომია 10.27.20.

³ ნ.ჩაგელიშვილი „ქუთაისში ‘ლელოს’ წევრზე თავდასხმის ფაქტზე 27 წლის პირი დააკავეს“, *Newpress*, 2020 წლის 14 ოქტომბერი [http://newpress.ge/qutaisshi-lelos-wevrze-tavdasxmis-faqtze-27-wlis-daakaves] ხელმისაწვდომია 10.27.2020. *ინტერპრესნიუსი* „ლელოს“ ინფორმაციით, ქუთაისში, შტაბის წევრს თავს დაესხნენ“ 2020 წლის 13 ოქტომბერი [https://www.interpressnews.ge/ka/article/623522-lelos-inpormaciiit-kutaisshi-shtabis-cevrs-tavs-daesxnen/]

საქართველოსთვის“ ქუთაისის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ანა ნაცვლიშვილის განმარტებით, მოძალადე არ არის ადგილობრივი და ქუთაისში სხვისი დავალებით იყო ჩასული. დანაშაული, სავარაუდოდ, ჩადენილია პოლიტიკური მოტივით.

გამოძიება დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით.

4. ⁴2020 წლის 17 სექტემბერს, ღამით, ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშია“-ს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ, ლევან ხაბეიშვილის საარჩევნო შტაბზე თავდასხმა განხორციელდა. ორმა უცნობმა პირმა საარჩევნო შტაბს ქვები ესროლა. ჩაიმსხვრა შუშები, დაზიანდა საოფისე ინვენტარი.

კანონმდამრღვევთა იდენტიფიცირება არ მომხდარა. გამოძიება მინდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

5. ⁵ 2020 წლის 11 ოქტომბერს, „ანას ბადის“ აქტივისტსა და პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშია“-ს სამგორის რაიონული ორგანიზაციის წევრ, ლევან ქართველიშვილს თავს დაესხა ორი პირი თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე. ლევან ქართველიშვილს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ის სასტიკად იქნა ნაცემი. დაზიანებები მიღებული აქვს თავის არეში. დაზარალებულმა არ მიმართა გამოძიებას, რადგან არ ენდობა საგამოძიებო ორგანოებს.

6. ⁶მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის წევრ, ნინია ცისკარიშვილს

⁴ ფორმულა „ლევან ხაბეიშვილის შტაბის მინები ჩამსხვრიეს, დაწყებულია გამოძიება“ 2020 წლის 18 სექტემბერი. 10:09 [<https://formulanews.ge/News/36885>]

⁵ მთავარი არხი, „თბილისში ლევან ხაბეიშვილის საარჩევნო შტაბის წევრს სცემეს“, 2020 წლის 11 ოქტომბერი, [<https://mtavari.tv/news/18745-tbilisshi-levan-khabeishvilis-saarchevno-shtabis?fbclid=IwAR1E9py88X7VPqbH8Pso2T2uB7WftNQK7BDd4CODpj86MvQssIK6H2qxJkw>]

⁶ პარალელი “ ნინია ცისკარიშვილი: “ჩვენზე თავდასხმები მას შემდეგ დაიწყო, რაც აღმოვაჩინეთ, რომ „ქართულ ოცნება“-ს საარჩევნო შტაბის ოფისი კანონიერი ქურდისგან აქვს ნაქირავები”, 2020 წლის 25 სექტემბერი, [<https://paraleli.ge/15273/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98->

საცხოვრებელ სახლთან, თავს დაესხა ორი პირი, რომელთაც ეცვათ შავი სამოსი და ეკეთათ ნიღაბი. თავდამსხმელებმა მოსთხოვეს მობილური ტელეფონის პინკოდი, რომლის მობილურ ტელეფონში შეიყვანისასაც უკნიდან დაარტყეს და ნინია ცისკარიშვილი დაეცა. მას დაუზიანდა მუხლის სახსარი. „ჩვენი გუნდის წევრებზე თავდახმები მას შემდეგ დაიწყო, რაც გავარკვიეთ, რომ „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო შტაბის ფართი კანონიერი ქურდისგან აქვს ნაქირავები“ – განაცხადა ნინია ცისკარიშვილმა.

⁷გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 -ე და 187-ე მუხლების პირველი ნაწილებით, რაც გულისხმობს ძალადობასა და სხვისი ნივთის დაზიანებასა და განადგურებას.

7. 2020 წლის 18 სექტემბერს, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლაშა ცუცქირიძეს, საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, ქ. თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე, გვიან ღამით, თავს დაესხნენ უცნობი, ნიღბიანი პირები. დაზარალებულმა დაზიანებები მიიღო თავისა და ტუჩის არეში. ლევან ცუცქირიძე გადაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

დამნაშავე პირთა იდენტიფიცირება არ მომხდარა.

8. ⁸2020 წლის 1 ოქტომბერს, ქ. სენაკში, სენაკის საკრებულოს მოქმედი წევრის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“) შვილს, გიორგი გოგავას, სავარაუდოდ, სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსანი იარაღის გამოყენებით ემუქრებოდა. გიორგი გოგავას უცნობი პიროვნება ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა და მოსთხოვა, დედამისს - მირანდა მირცხულავას შეეწყვიტა პოლიტიკური საქმიანობა.

%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C/?fbclid=IwAR3_4Cnt0Uq5HXmF88Lmn6mhf178NkmbjSl_Y0fbbpB6q091J5T8RHQBEM]

⁷პირველი არხი, „შსს-მ „ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს ოფისის წევრის, ნინია ცისკარიშვილის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო“, 2020 წლის 26 სექტემბერი [https://1tv.ge/news/shss-m-nacionaluri-modzraobis-saburtalos-ofisis-wevrin-ninia-ciskarishvilis-mimart-dzaladobis-faqtze-gamodzieba-daiwoy/?fbclid=IwAR31tXLxR4s4Rmu0_L-HYN69xwOrGq2rJ5YU1TjKfYIca9MGd9Xnx2KV0Ao]

⁸ მთავარი არხი, „გაგიხვრიტავ შუბლსო“ - მოქმედი მაღალჩინოსანი ოპოზიციის წევრის შვილს დაემუქრა“ 2020 წ.1 ოქტ. [<https://mtavari.tv/news/17531-gagikhvritav-shublso-mokmedi-maghalchinosani>]

გიორგი გოგავამ მიმართა საგამომიებო უწყებას და წარუდგინა მოძალადის ავტომობილის ფოტო მასალა. მისივე განმარტებით, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიციის თანამშრომლები, თუმცა რეაგირება არ მოუხდენიათ.

სავარაუდო დამნაშავეის იდენტიფიცირება არ მომხადა.

9. ⁹ 2020 წლის 8 სექტემბერს, დაკავებული პოზიციიდან, სავარაუდოდ პოლიტიკური დისკრიმინაციის შედეგად, გათავისუფლდა ქ. თბილისის, 186-ე საჯარო სკოლის დირექტორი, მაია გრიგოლია. მისი განმარტებით, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მის პოზიციაზე სხვა პიროვნება იყო დანიშნული. იგი დარწმუნებულია, რომ დაისაჯა კრიტიკული პოლიტიკური შეხედულების გამო.

10. ¹⁰ 2020 წლის 14 ოქტომბერს, წეროვნის მესამე საჯარო სკოლის ყოფილმა დირექტორმა, ბატონმა რამინ ჩიტიშვილმა განაცხადა, რომ ის გაათავისუფლეს დაკავებული პოზიციიდან მისი პოლიტიკური შეხედულების გამო, რამდენადაც ის არის პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშია“-ს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ცეზარ ჩოჩელის აქტიური მხარდამჭერი.

რამინ ჩიტიშვილი განმარტავს, რომ პოლიტიკური ხასიათის ზეწოლა მასზე ადრეც განხორციელებულა. მას აიძულებდნენ, შეემუშავებინა სპეციალური სიები წეროვნის მესამე საჯარო სკოლაში მომუშავე პერსონალის პოლიტიკურ პოზიციათა შესახებ. კერძოდ, ვინ უჭერდა მხარს ხელისუფლებას და ვინ იყო ოპოზიციურად განწყობილი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან სულ 6 სკოლის დირექტორია გათავისუფლებული. ნაწილი მათგანი ამ ყველაფერს პოლიტიკურ მოტივს უკავშირებს და ამბობს, რომ წინასაარჩევნოდ ხელისუფლებამ ისინი ოპოზიციის მხარდამჭერის გამო დასაჯა.

⁹ მთავარი არხი, „სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით, თანამდებობიდან კიდევ ერთი სკოლის დირექტორი გაათავისუფლეს“, 2020წ. 15 ოქტ. [<https://mtvari.tv/news/19126-savaraudod-politikuri-nishnit-tanamdebobidan>]

¹⁰ მთავარი არხი, “ უნდა გამეკეთებინა სიები, ვინ იყო მხარდამჭერი, ვინ მოწინააღმდეგე” - ზეწოლა სკოლის დირექტორებზე“ 2020 წ.14 ოქტომბერი. [https://mtvari.tv/news/19051-unda-gameketebina-siebi-vin-iqo-mkhardamcheri-vin?fbclid=IwAR1nbpjGB_4vEix-R2A2Xde1mVlOwbvp0LGmm-Ua_vrYnqEFS95q-8Hlg]

“მე ვარ ცეზარ ჩოჩელის მხარდამჭერი და ეს არის მიზეზი. ზეწოლა ყოველთვის იყო, რომ უნდა გამეკეთებინა სიები, ვინ იყო მხარდამჭერი, ვინ მოწინააღმდეგე. მე ამას არასოდეს ვაკეთებდი და ზუსტად ეს გახდა ჩემი გათავისუფლების საფუძველი” - ამბობს რამინ ჩიტიშვილი, წეროვნის მესამე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სულ 14 სკოლის დირექტორს გაუვიდა თანამდებობაზე ყოფნის ვადა. მათგან რვამ ხელახლა დანიშვნის პირობა მიიღო.

11. თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქსნის საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი დოდო ჭოტორლიშვილი, რომელიც მის გათავისუფლებას მისი ოჯახის წევრების განსხვავებულ პოლიტიკურ პოზიციას უკავშირებს. მისი შვილის, ბექა ლელუაშვილის განმარტებით, დოდო ჭოტორლიშვილი ინფარქტის ნიშნებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„მხარში ვუდგავარ ცეზარ ჩოჩელსა და კახა ოქრიაშვილს და დავუდგები ბოლომდე. ამით ვერ გამაჩერებენ“ - ამბობს ბექა ლელუაშვილი.

12. ¹¹2020 წლის 13 ოქტომბერს თავს დაესხნენ პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ ქუთაისის ოფისს, დაუშინეს აგურები, დაზიანდა ბანერი.

გამოძიება წარიმართა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით. დამნაშავე პირი წარსულში ნასამართლევია აღმოჩნდა. გამოძიებამ დაზიანება 80 ლარად შეაფასა და დამნაშავეს მიმართ მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა.

13. ¹² გორში, სოფელ მეჯვრისხევში, “ევროპული საქართველოს” მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ლევან თარხნიშვილსა და მისი შტაბის წევრებს თავს დაესხნენ. შემთხვევა მოხდა. ლევან თარხნიშვილის განცხადებით, ინციდენტი პლაკატების გადაკვრას მოჰყვა.

თარხნიშვილის განმარტებით, მათ პლაკატებზე გადაკრული იყო “ქართული ოცნების” მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი ხოჯევანიშვილის ფოტოები. როდესაც მათი წარმომადგენლები კადრებს იღებდნენ, მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

¹¹ On.ge/ოქტომბერი 17, 2020/02:59

¹² თვითმართველობის დროა „ლევან თარხნიშვილსა და მისი შტაბის წევრებს რამდენიმე ადამიანი თავს დაესხა“, 2020 წ. 17 ოქტომბერი [https://droa.ge/?p=87228]

“ამ დროს ქუჩაში იმყოფებოდა 6-7 ადამიანი, რომლებიც შეზარხოშებულები იყვნენ. იქვე არის კედელი, სადაც ევროპული საქართველოს პლაკატებზე გიორგი ხოჯევანიშვილის პლაკატები იყო გადაკრული. არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო დამკვირვებლები გვთხოვენ, რომ ასეთ დროს გადავიღოთ სურათი. გორის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ეთერ ჯალაღონიამ მათი პლაკატის ხელით აწევა სცადა, რომ ქვემოთ ჩვენი გამოჩენილიყო და სურათი გადაეღო, რა დროსაც 6 მამაკაციდან ერთ-ერთმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ეთერს და შემდეგ ყელში სწვდა და სათვალე გაუტეხა. კადრები არსებობს, ჩვენ ვცდილობთ მათ ამოცნობას. იგივე ადგილზე ერთი კვირის წინ ინციდენტი ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობასაც. შესაძლებელია, ეს ხალხი პროვოკაციისთვის მოგზავნილები იყვნენ” – ამბობს ლევან თარხნიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

14.¹³ 2020 წლის 27 სექტემბერს, ბოლნისში, სოფელ ნახიდორში, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ 50-მდე მხარდამჭერი თავს დაესხა პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშია“-ს აქტივისტებს და მათ ფიზიკურად გაუსწორდა.

თვითმხილველები ადასტურებენ, რომ თავდასხმას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, („ქართული ოცნება“) გოგი მეშველიანის ძმა. ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი, არიფ იუსუპოვი იმყოფებოდა ჩაიხანაში, სადაც მას თავს დაესხა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ძმა და 50 სხვა პირი. თავდამსხმელებმა იუსუპოვი სასტიკად სცემეს და ჩაიხანის ტერიტორიაზე ყველაფერი დალეწეს. შედეგად, დაშავდა ათამდე აქტივისტი. სამი აქტივისტი საავადმყოფოში გადაიყვანეს. თვითმხილველი ადასტურებს, რომ მოძალადე პირები ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით წარიმართა, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

¹³მთავარი არხი „მორიგი თავდასხმა ოპოზიციაზე - ბოლნისში ოპოზიციონერებს სცემეს“, 2020 წ.27 სექტემბერი. [https://mtavari.tv/news/17147-morigi-tavdaskhma-opozitsiaze-bolnishi?fbclid=IwAR2ITG-qsR1qK_gwsQUdGhKsaMO6PmjHcb97cEn6E-fUUim1TGjnJRaPqI]

15. ¹⁴2020 წლის 19 ოქტომბერს, ბოლნისის რაიონში, „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშია“ - ს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, კახა ოქრიაშვილს „ქართული ოცნების“ შტაბის წევრები თავს დაესხნენ. თავდამსხმელებმა ოპოზიციის საარჩევნო შტაბის წევრის, ლევან მიქელაძის ავტომობილს ცეცხლი გაუხსნენ. მიქელაძის ინფორმაციით, ერთ-ერთ ავტომობილს მართავდა საკრებულოს წევრი წაქაძე, რომელიც ამავედროულად არის მეშველიანის ბიუროს ხელმძღვანელი. თავდამსხმელები, ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით, ცდილობდნენ, ლევან მიქელაძე ეიძულებინათ, შეეწყვიტა მოძრაობა. მიქელაძემ არ შეაჩერა მოძრაობა. თავდამსხმელები რამდენჯერმე გვერდიდან შეეჯახნენ მის მანქანას. ცდილობდნენ, ავტომობილი გადაეგდოთ გზის სავალი ნაწილიდან. ბოლნისიდან დაახლოებით 5 კილომეტრში ის გადააგდეს ასფალტიდან. თავდამსხმელებმა ექვსჯერ გაისროლეს, ერთი ტყვია მოხვდა ლევან მიქელაძის მანქანას.

მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა დამნაშავეთა გამოვლენა არ მომხდარა.

16. ¹⁵ 2020 წლის 23 სექტემბერს, ბოლნისში, "ქართული ოცნების" აქტივისტები „გაერთიანებული ოპოზიციისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბებს თავს დაესხნენ. თავდამსხმელებმა ჩამოხიეს პოსტერები, დააზიანეს სათვალთვალო ვიდეო კამერები და კედლებზე დაწერეს შეურაცხმყოფელი ფრაზები.

თავდამსხმელთა გამოვლენა ამ დრომდე არ მომხდარა.

17. ¹⁶ 2020 წლის 15 ოქტომბერს, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა, პრო-კრემლისტურმა ჯგუფმა - „ქართული მარში“ საპროტესტო აქცია მოაწყო გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის (გაერთიანებული

¹⁴მთავარი არხი „ოცნება“ ასეთი მეთოდებით ხელისუფლებაში ვერ დარჩება - ოქრიაშვილი ბოლნისში მომხდარ თავდასხმაზე“ 2020 წ. 19 ოქტომბერი, [https://mtavari.tv/news/19675-otsneba-aseti-metodebit-khelisuplebashi-ver?fbclid=IwAR1E9py88X7VPqbH8Pso2T2uB7WFtNQK7BDd4CODpj86MvQssIK6H2qxJkw]

¹⁵მთავარი არხი, „ ბოლნისში გაერთიანებული ოპოზიციის შტაბს თავს დაესხნენ“, 2020 წლის 23 სექტემბერი, [https://mtavari.tv/news/16717-bolnissi-gaertianebuli-opozitsiis-shtabs-tavs]

¹⁶რადიო თავისუფლება „ნიკა მელიას თქმით, მისი ოფისის წინ "ქართული მარშის" აქცია "ქართული ოცნების" ორგანიზებული იყო“ 2020წ. 16 ოქტომბერი [https://www.radiotavisupleba.ge/a/30896644.html?fbclid=IwAR1J_zu9EtxJyInmsVZuo25qf2J7kEOFH33XfHN7pGLyGNax8odkH01rlpY]

ოპოზიცია - ძალა ერთობაშია) ნიკა მელიას ოფისთან. დემონსტრანტების ნაწილი მოითხოვდა, ნიკა მელიას პასუხი ეგო აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის საქართველოს ტერიტორიათა უკანონო გადაცემის გამო.

18.¹⁷ 2020 წლის 29 სექტემბერს, ქალაქ მარნეულში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” საოლქო კომისიის წევრ ლაშა ქველაძეს, მამამის - გივი ქველაძეს, მამიდაშვილ - დავით ქიმაძეს, ორ ჟურნალისტს, მათ შორის ჯეიჰუნ მუჰამედალის და სამ ოპერატორს, ასევე სამოქალაქო პლატფორმა 20/20-ს სადამკვერვებლო მისიის რეგიონული ჯგუფის ხელმძღვანელ - გიორგი მუმლაძეს და “მთავარი არხის” ოთხ თანამშრომელს, “ქართული ოცნების” წარმომადგენლები თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. თავდასხმაში მონაწილეობდა მარნეულის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე (ქართული ოცნება) ამირან გიორგაძე, საკრებულოს იურისტი - შერმადინ ბოჭოიძე, მერიის თანამშრომელი - ვაჟა შუბითიძე და სხვა პირები. თავდამსხმელებმა დააზიანეს ლაშა ქველაძის კუთვნილი ავტომანქანა. დაზარალებულთა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გამო ისინი კლინიკაში გადაიყვანეს. გივი ქველაძემ მიიღო ტვინის შერყევა და ის უგონო მდგომარეობაში იქნა გადაყვანილი საავადმყოფოში. დაზარალებულები ადასტურებენ, რომ ინციდენტის დროს იქ მყოფი პოლიცია არ რეაგირებდა. შესაბამისად, პოლიციის მხრიდან გამოხატული იყო მდუმარე თანხმობა. სასწრაფო დახმარება დაზარალებულებმა თავად გამოიძახეს.

ჟურნალისტ ჯეიჰუნ მუჰამედალის მიმართ ზემოთაღნიშნულ ფაქტამდეც აქტიურად ხორციელდებოდა მუქარა. კერძოდ, “ქართული ოცნების,” ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვუგარ ისაევი მას ცივი იარაღით დაემუქრა. ამ ფაქტზე გამომიება არ მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის 16 სექტემბერს სამაუწყებლო კომპანია „მთავარი არხის“ 15:00-საათიან საინფორმაციო გადაცემა „მთავარში“ გავიდა სიუჟეტი, რომელშიც ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, „ქართული

¹⁷ მთავარი არხი “ კიდევ ერთი დაპირისპირება მარნეულში - "ოცნების" მხარდამჭერები ლაშა ქველაძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ“ 2020 წ.29სექტ. [<https://mtavari.tv/news/17382-kidev-erti-dapispireba-marneulshi-otsnebis?fbclid=IwAR2ho37PXFJnF1pN8gYHv1uwZ1SX3mOqYRj15SMM6acax1tjrS-BPi6qF24>], MediaChecker “მარნეულში ფიზიკურად გაუსწორდნენ ჟურნალისტებსა და ოპერატორებს” 2020 წლის, 29 სექტემბერი, [<https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/84471-marneulshi-fizikurad-gaustsordnen-zhurnalistebsa-da-operatorებს>], ფორმულა ნიუსი „ენმ-ის წევრი ლაშა ქველაძე, რომელსაც 29 ოქტომბერს სცემეს, პოლიციამ დააკავა“ 2020 წ.4 ოქტომბერი, [<https://formulanews.ge/News/37604>], მთავარი არხი, „ოცნების“ წინასაარჩევნო ბრძოლა წესების გარეშე - დარბეული ოფისები და ნაცემი ოპონენტები“ 2020წ. 14 ოქტომბერი. [<https://mtavari.tv/news/19077-otsnebis-cinasaarchevno-brdzola-cesebis-gareshe>]

ოცნებიდან,“ ვუგარ ისაევი აღიარებს, რომ ის „მთავარი არხი“-ს ჟურნალისტ, ჯეიკუნ მუჰამედალის დანით დაემუქრა.

ქველამეების ოჯახის მიმართ, პოლიტიკური ნიშნით ზეწოლასა და დევნას 2014 წლიდან ინტენსიური ხასიათი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ლაშა ქველამე თავად დაექვემდებარა მძიმე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, გამოძიება მის წინააღმდეგ წარმართა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162¹ მუხლით, რაც კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს, ძალადობას ან ძალადობის მუქარას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო პლატფორმა 20/20-ს რეგიონული ჯგუფის ხელმძღვანელი, გიორგი მუმლაძე 2019 წლიდან განგრძობადი პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლია. პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა ხორციელდება არა მხოლოდ გიორგი მუმლაძის, არამედ მისი ოჯახის წევრების მიმართაც. გიორგი მუმლაძემ უკვე მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

გამოძიების მხრიდან მოძალადე პირთა იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება არ მომხდარა.

19. ¹⁸2020 წლის 18 ოქტომბერს, ადგილი ჰქონდა უკანონო შეჭრას პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის ტერიტორიაზე. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ხატია დეკანოიძე უკანონო შეჭრაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ადანაშაულებს და მიზეზად შტაბში მოსასმენი აპარატურის უკანონო განთავსებას ასახელებს.

აღნიშნულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 177-ე მუხლებით დაიწყო.

¹⁸ რუსთავი 2, „ხატია დეკანოიძის შტაბში შეჭრის ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო“, 2020წ. 18 ოქტომბერი, [https://rustavi2.ge/ka/news/179101], ფორმულა, „ნაფეხურებია ჩემს ოთახში, სავარაუდოდ მოსასმენი აპარატურის დამონტაჟებას აპირებდა“- ხატია დეკანოიძის შტაბში შეჭრის ფაქტზე გამოძიება დაიწყო“, 2020 წ. 18 ოქტომბერი, [https://www.fortuna.ge/fortuna/post/nafekhurebia-chems-otakhshi-savaraudod-mosasmeni-aparaturis-damontadjebas-apirebda-khatia-dekanoidzis-shtabshi-shechris-faqtze-gamodzieba-daiwyo?fbclid=IwAR1Z7Dvcv9gH6QPXbdNbMNMv75dIcKaEuAV09OpEsl_FNviCzgMk4YKRYM]

20.¹⁹ 2020 წლის 20 ოქტომბერს, შრომის ინსპექციის სამსახურმა 10 000 ლარით დააჯარიმა კაფე-ბარი, სადაც პოლიტიკური გაერთიანება “გირჩი” შეხვედრას მართავდა. ბარის წარმომადგენლები აღნიშნულ გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევენ.

“გირჩი“-ს ლიდერი, ზურაბ ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედება ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლაა.

21.²⁰ 2020 წლის 5 ოქტომბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან პოლიტიკურმა პარტია “გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი” საპროტესტო აქცია გამართა, რა დროსაც სამართალდამცავებმა ოთხი პირი დააკავეს.

პარტიის ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ დაკავებულებს შორის არის ერთი არასრულწლოვანი და პარტიის საარჩევნო სიაში მყოფი პაატა მანჯგალაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აქციის მონაწილეები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს, რაც სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის ან სამხედრო მოსამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

¹⁹ თვითმართველობის დროა “გირჩი” დაჯარიმებული ბარი “სახელოსნოს” ტერიტორიაზე ისევ შეიკრიბა – შრომის ინსპექციას არავინ დაუჯარიმებია, 2020 წლის 20 ოქტომბერი, [https://droa.ge/?p=87483], პირველი არხი „ზურაბ ჯაფარიძე - „გირჩის“ რამდენიმე შტაბი ბარებშია განთავსებული, სადაც ჩვენს მხარდამჭერებთან ერთად ვსვამთ და სხვადასხვა თემაზე ვსაუბრობთ, ამის გამო დაჯარიმებით იმუქრებიან“ 2020წ. 17 ოქტომბერი, [https://1tv.ge/news/zuran-jafaridze-girchis-ramdenime-shtabi-barebshia-gantavsebuli-sadac-chveni-mkhardamcherebi-modian-mattan-ertad-vsamt-da-skhvadaskhva-temaze-vsaubrobt-amis-gamo-dajarimebit-im/]

²⁰ მედიაპოლიტიკა „კვირა“, „გიორგი ვაშაძე: დააკავეს იმუნიტეტის მქონე ადამიანები ჩვენი პარტიული სიიდან, რაც არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება“, 2020 წ. ოქტომბერი, [http://kvira.ge/599874?fbclid=IwAR3YdIDPjKqKvPt12pE12jILSC39zAd4QRle_YbUtxjjRRtthf2obwuCSec

https://www.interpressnews.ge/ka/article/621961-giorgi-vashazis-inpormaciit-tbilisis-meriastan-akciaze-dakavebuli-strategia-agmasheneblis-4-cevri-gaatavisuples/]

22.²¹ 2020 წლის 29 სექტემბერს, საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა განცხადება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის, დავით გარეჯის მონაკვეთთან დაკავშირებით ქვეყნის საზიანოდ დადებული შეთანხმების შესახებ. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო 2020 წლის 17 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის საქმიანობას.

2020 წლის 7 ოქტომბერს დააკავეს ორი პირი - ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა. გამოძიების თანახმად, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის ყოფილი წევრების, ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაახლოებით 3500 ჰექტარი ფართობის დაკარგვის საფრთხე შეიქმნა.

მათ წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევას, საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას, მიმართულს უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ, ან საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ, გულისხმობს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა 2020 წლის 15 ოქტომბერს, ტელეკომპანია „იმედი“ - ს ეთერში ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა სახელმწიფო ლალატში დაადანაშაულა, რაც სახელმწიფო ტერიტორიების გადაცემის მცდელობად დააკვალიფიცირა, ასევე მან განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გამოცხადდეს დანაშაულებრივ ორგანიზაციად.

23. 2020 წლის 20 ოქტომბერს, პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშია“-ს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის საარჩევნო შტაბის წევრ, რამაზ ნურმამედოვს თავს დაესხნენ.

²¹ რადიო თავისუფლება „ივერი მელაშვილის საქმის პროკურორი ვერ ასახელებს სავარაუდო დანაშაულის ჩადენის მოტივს“, 2020 წ. 8 ოქტომბერი, [<https://www.radiotavisupleba.ge/a/30882810.html>], პუბლიკა, „კარტოგრაფების საქმე | რას ჰყვება ირაკლი ღარიბაშვილი“ 2020.16.10, [<https://publika.ge/kartografabis-saqme-ras-hyveba-irakli-gharibashvili/>], რადიო უცნობი „უცნობის კიდობანი - ირაკლი ღარიბაშვილი“, 16.10.20, [<https://www.youtube.com/watch?v=0TJgxwhmBy0>]

ინციდენტი ბოლნისში გამართულ ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრაზე მოხდა. “ქართული ოცნების” აქტივისტმა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მამედ შამილოვმა კახა ოქრიაშვილსა და მისი შტაბის წევრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოგვიანებით, რამაზ ნურმამედოვს ტელეფონით დაუკავშირდნენ და გარეთ გაიყვანეს, რის შემდეგაც ფიზიკურად გაუსწორდნენ.

გამოძიების მხრიდან არ მომხდარა დამნაშავე პირების გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

24.²² 2020 წლის 21 ოქტომბერს, ტელეკომპანია პირველის დირექტორის - ვახტანგ წერეთლის მამას, ბიზნესმენ ავთანდილ წერეთელს ორი სპორტული აღნაგობის პირი დაესხა თავს და მოკვლით დაემუქრა.

ვახტანგ წერეთელი მომხდარ ფაქტს ხელისუფლებას უკავშირებს და “ქართულ ოცნებასა” და ბიძინა ივანიშვილს მიმართავს, რათა შეწყდეს მისი ოჯახის დევნა. როგორც ვახტანგ წერეთელი განმარტავს, ავთანდილ წერეთელზე თავდასხმა „ტვ პირველი“-ს კრიტიკულ სარედაქციო პოლიტიკას უკავშირდება.

ვახტანგ წერეთელმა შსს-ს გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა.

25.²³ 2020 წლის 21 ოქტომბერს, დმანისში “ქართული ოცნების” ოფისში რამდენიმე პირი ერთმანეთს ცეცხლსასროლი იარაღით დაუპირისპირდა, რის შედეგადაც 3 ადამიანი დაიჭრა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 117-ე მუხლებით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

26.²⁴ 2020 წლის 21 ოქტომბერს ზუგდიდში, საქართველოს ბანკის რეგიონული ფილიალში შეიარაღებული თავდამსხმელი შეიჭრა და მძევლები აიყვანა.

²² ნეტგაზეთი, „ავთანდილ წერეთელი ამბობს, რომ ორი პირი დაემუქრა“, 21.10.2020 [https://netgazeti.ge/news/491010/]

²³ რადიო თავისუფლება, „ადგილობრივების ცნობით, დმანისში „ოცნების“ ოფისში დაპირისპირება იყო - დაჭრილია 3 ადამიანი“, 21.10.20, [https://www.radiotavisupleba.ge/a/30905616.html]

²⁴ იმედი, „მამუკა მდინარაძე: ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი აღმოჩნდა მძევლებს შორის და მომდევნო დღეებში გავარჩიოთ ეს დამთხვევაა თუ არა“ 22.10.20 [https://imednews.ge/ge/politika/168545/mamuka-mdinaradze-zugdidshi-natsionaluri-modzraobis-erterti-aqtiuri-]

თავდამსხმელი მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ ნახევარ მილიონ აშშ დოლარს ითხოვდა. თავდამსხმელი მძევლის მეშვეობით ტელევიზიებს დაუკავშირდა.

“ქართული ოცნების” აღმასრულებელმა მდივნმა, ირაკლი კობახიძემ აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიების ლიდერები დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ისინი ამ ვითარების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას ცდილობდნენ. მედია საშუალებების წარმომადგენლებს კი, სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებებში დასდო ბრალი.

უმრავლესობის ლიდერმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, მამუკა მდინარაძემ მძევლების პოლიტიკური ნიშნით სეგრეგაცია მოახდინა და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მძევალი “ნაციონალური მოძრაობის” აქტიური მხარდამჭერია და მისი დანაშაულის ადგილას ყოფნა შემთხვევითი არ იყო.

27. ²⁵მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მოქმედი ხელისუფლების დავალებით, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები ზეწოლას ახდენენ ამომრჩეველზე და აიძულებენ მოქალაქეებს, მხარი დაუჭირონ “ქართულ ოცნებას.” მედიის მიერ მოხდა მოძალადე სამართალდამცავების იდენტიფიცირება.

„მთავარი არხი“- ს ინფორმაციით, სხვადასხვა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში მივლენილია სამართალდამცავთა შემდეგი რაოდენობა:

- ზუგდიდი - 7 პირი
- ფოთი - 4 პირი
- სენაკი - 7 პირი
- ჩხოროწყუ - 3 პირი,
- წალენჯიხა- 6 პირი,
- მარტვილი - 11 პირი,
- აბაშა - 5 პირი,
- მესტია - 13 პირი,
- გურია - 6 პირი,
- კახეთი - 6 პირი.

mkhardamcheri-agmochnda-mdzevlebs-shoris-da-momdevno-dgeebshi-gavarchiot-es-damtkhvevaa-tu-ara] [On.ge/22
ოქტომბერი/11:05]

²⁵ https://mtavari.tv/news/20326-otsnebis-agitatori-samartaldamtsavebi?fbclid=IwAR2QwLC6A3yfTMV3i_t82RHhYMzocLdd4O0qNQyn9RDpSUmSS8SBo1rn08E

<https://mtavari.tv/news/20132-mtavarma-sus-isa-shinagan-sakmeta-saministros>

აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით არავითარ სამართლებრივ რეაგირებას ადგილი არ აქვს.

დასკვნითი დებულებები

- ამგვარად, საქართველოში 31 ოქტომბერს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი ხასიათდება ინტენსიური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით;
- სახელმწიფოს რეაგირება ძალადობრივ ფაქტებზე არაადეკვატურია და გამოძიება მიმდინარეობს არასწორი მუხლებით, პოლიტიკურად მოტივირებული მდგენელის გათვალისწინების გარეშე;
- აღნიშნული ძალადობრივი ფაქტების კულმინაციად შეგვიძლია განვიხილოთ 2020 წლის 19 ოქტომბერს, მარნეულში, ოპოზიციის მხარდამჭერების მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტი, რაც მიუთითებს სამოქალაქო დაპირისპირების მაღალ რისკებზე;
- ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, აქტივისტების წინააღმდეგ თანამდებობის პირების მხრიდან აშკარა მუქარა მიუთითებს ხელისუფლების მხრიდან ძალადობის წახალისებაზე;
- აღნიშნული ძალადობა წარმოშობს არ მხოლოდ საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაციის რისკს, არამედ ახალისებს ახალ ძალადობას და ემსახურება სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას;
- ამავდროულად, ამგვარი ძალადობრივი გარემოს შექმნა ემსახურება მოსახლეობის ფსიქოლოგიურ დათრგუნვასა და დაშინებას, რაც შესაძლოა გამოიხატოს კენჭისყრის დღეს ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების დაბალ აქტივობაში;
- წახალისებული ძალადობა, დაპირისპირება მოქალაქეთა შორის, უდანაშაულო პირების დაპატიმრება და პოლიტიკური ოპონენტების დევნა მიუთითებს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოში დემოკრატიული პროცესის შემდგომ განვითარებას და ზღუდავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას - თავისუფლად გამოხატოს ნება;

